

შპს „თბილისი ჰუავეი ტექნოლოჯის კო.“

2020 წლის
ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	10



შპს „KPMG Georgia“
ჯი ემ თი პლაზა
მე-5 სართული, თავისუფლების მოედანი №4
თბილისი, საქართველო 0105
ტელეფონი: +995 322 93 5713
ინტერნეტი: www.kpmg.ge

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს „თბილისი ჰუავეი ტექნოლოჯის კო.“-ს მესაკუთრეებს

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ შპს „თბილისი ჰუავეი ტექნოლოჯის კო.“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგების ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას ამავე თარიღებით დასრულებული წლისთვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და სხვა ახსნითი ხასიათის ინფორმაციის შემცველ განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას.

დასკვნის საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISAs) შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობა, ხსენებული სტანდარტების მიხედვით, აღწერილია დასკვნის ნაწილში „აუდიტორთა პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით), ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საქართველოში არსებულ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებთან ერთად, ჩვენ ვართ „კომპანიისგან“ დამოუკიდებლები და ასევე ვართ შესაბამისობაში „IESBA“ კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობისას ჩვენ მიერ მოპოვებული მტკიცებულებები წარმოადგენს აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და შესაბამის საფუძველს.

ხელმძღვანელობისა და მმართველობაზე უფლებამოსილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და კეთილსინდისიერად წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმების შემუშავებაზე, რომლებსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ მიიჩნევს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის უნარის შეფასებაზე, განაგრძოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ და მოახდინოს მსგავსი შეფასების წარდგენა მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს კომპანიის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებისა.

მმართველობაზე უფლებამოსილი პირები პასუხს აგებენ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მივიღოთ გონივრული რწმუნება იმის თაობაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალი თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან და აუდიტორთა დასკვნის გაცემა, რომელიც მოიცავს ჩვენს აზრს. გონივრული რწმუნება არის რწმუნებულების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად მოიაზრებოდნენ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი, რომ მათ შეუძლიათ, ცალკე ან ერთობლივად, გონივრულ ფარგლებში გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და მართებულია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას.
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა კომპანიის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად.
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას.
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ.



შპს „თბილისი ჰუავეი ტექნოლოჯის კო.“
დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა
გვერდი 3

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების სრულად წარდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს გავუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა გაიცა, არის:

კარენ საფარიანი

შპს "KPMG Georgia"
თბილისი, საქართველო
15 მარტი, 2021 წელი

*შპს „თბილისი ჰუავეი ტექნოლოჯის კო.“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრისთვის*

'000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10,15	1,236	1,538
გრძელვადიანი აქტივები		1,236	1,538
მარაგები		552	438
სახელშეკრულებო აქტივები	5(c)	2,868	1,418
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	9,589	3,132
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	12	2,106	9,394
მიმდინარე აქტივები		15,115	14,382
სულ აქტივები		16,351	15,920
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	13	333	333
გაუნაწილებელი მოგება	13	8,413	7,867
სულ კაპიტალი		8,746	8,200
საიჯარო ვალდებულებები	15	699	752
გრძელვადიანი ვალდებულებები		699	752
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	5,854	5,990
სახელშეკრულებო ვალდებულებები	14	582	376
საიჯარო ვალდებულებები	15	314	378
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები		156	224
მიმდინარე ვალდებულებები		6,906	6,968
სულ ვალდებულებები		7,605	7,720
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		16,351	15,920

შპს „თბილისი ჰუავეი ტექნოლოჯის კო.“
2020 წლის მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

'000 ლარი	შენიშვნა	2020	2019
შემოსავალი	5	13,883	11,762
გაყიდვების თვითღირებულება	6	(10,779)	(7,801)
მთლიანი მოგება		3,104	3,961
გაყიდვის და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(2,375)	(4,542)
(გაუფასურების ზარალი)/გაუფასურების ზარალის აღდგენა			
სავაჭრო მოთხოვნებზე და სახელშეკრულებო აქტივებზე	16(b)(ii)	(303)	1,010
სხვა საოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)		(126)	78
საოპერაციო საქმიანობის შედეგები		300	507
წმინდა ფინანსური შემოსავალი	8	756	468
მოგება, მოგების გადასახადით დაბეგრამდე		1,056	975
მოგების გადასახადის ხარჯი	9	(202)	-
მოგება და სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		854	975

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 15 მარტს და მისი სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ:



ტანგ ფენგინგ
 გენერალური დირექტორი


ზანგ ჰუიპუი
 ფინანსური დირექტორი



მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 10-41 გვერდებზე

შპს „თბილისი ჰუავეი ტექნოლოჯის კო.“
2020 წლის კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

’000 ლარი	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	333	6,892	7,225
სულ სრული შემოსავალი			
წლის მოგება	-	975	975
სულ სრული მოგება წლის განმავლობაში	-	975	975
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	333	7,867	8,200
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს	333	7,867	8,200
სულ სრული შემოსავალი			
წლის მოგება	-	854	854
გადახდილი დივიდენდები (შენიშვნა 13 (b))	-	(308)	(308)
სულ სრული მოგება წლის განმავლობაში	-	546	546
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	333	8,413	8,746

'000 ლარი	შენიშვნა	2020	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან			
კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები		9,394	22,405
მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(11,526)	(10,544)
თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(2,110)	(2,234)
(საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული)/საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები		(4,242)	9,627
გადახდილი პროცენტი		(63)	(29)
გადახდილი მოგების გადასახადი		(98)	-
სხვა გადახდილი გადასახადები		(1,955)	(1,201)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები		(6,358)	8,397
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(440)	(105)
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხების დაფარვა		-	850
გაცემულ სესხებზე პროცენტის დაფარვა		-	19
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული/(საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები		(440)	764
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობებიდან			
შემოსულობები სესხები და კრედიტებიდან		-	654
სესხები და კრედიტების დაფარვა		-	(644)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა		(362)	(392)
კომპანიის კაპიტალის მფლობელებზე გადახდილი დივიდენდები (შენიშვნა 13(b))		(293)	-
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(655)	(382)
წმინდა მატება/(კლება) ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში		(7,453)	8,779
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვარს		9,394	580
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		165	35
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს	12	2,106	9,394

კომპანიამ მოახდინა შემდგენიერი კლასიფიკაცია:

- ფულადი გადახდები საიჯარო გადახდების ძირის ნაწილისთვის წარმოაჩინა ფინანსური საქმიანობის სახით;
- ფულადი გადახდები მოკლევადიანი იჯარებისთვის წარმოაჩინა საოპერაციო საქმიანობის სახით (შეტანილი "მომწოდებლებისთვის გადახდილ ფულად სახსრებში").
- ფულადი გადახდები საპროცენტო ნაწილისთვის წარმოაჩინა საოპერაციო საქმიანობის სახით, კომპანიის მიერ შერჩეული საპროცენტო გადახდების წარდგენის შესაბამისად.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 10-41 გვერდებზე

შენიშვნა	გვერდი	შენიშვნა	გვერდი
1. ანგარიშგების წარმდგენი საწარმო	11	12. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	20
2. აღრიცხვის საფუძველი	11	13. კაპიტალი და კაპიტალის მართვა	20
3. სამუშაო და წარდგენის ვალუტა	12	14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები და სახელშეკრულებო ვალდებულებები	21
4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება	12	15. იჯარები	21
5. შემოსავალი	13	16. სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა	23
6. გაყიდვების თვითღირებულება	17	17. პირობითი ვალდებულებები	28
7. გაყიდვის და ადმინისტრაციული ხარჯები	17	18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	29
8. წმინდა ფინანსური შემოსავალი	18	19. შემდგომი მოვლენები	30
9. მოგების გადასახადები	18	20. შეფასების საფუძველი	30
10. ძირითადი საშუალებები	19	21. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები	30
11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	19	22. ახალი სტანდარტები და ინტერპეტაციები	41

1. ანგარიშგების წარმდგენი საწარმო

(a) საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში. შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი ნორმები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი იყენებენ განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და განიცდიან ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოადგენს. COVID-19 კორონავირუსის პანდემიამ კიდევ უფრო გაზარდა გაურკვევლობა ბიზნეს გარემოში.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

(b) ორგანიზაცია და ოპერაციები

შპს „თბილისი ჰუავეი ტექნოლოჯის კო.“ (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად. „კომპანია“ დაფუძნდა 2008 წლის 20 მაისს და მისი იურიდიული მისამართია: ვაჟა-ფშაველას გამზირი №71, ვაკე-საბურთალოს რაიონი, 0186 თბილისი, საქართველო. კომპანიის სარეგისტრაციო ნომერია: 204542272.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა მოიცავს საქართველოში ადგილობრივი მობილური ოპერატორი კომპანიებისთვის სატელეკომუნიკაციო ქსელის, მოწყობილობების ინსტალაციის, პროგრამული უზრუნველყოფის განახლებისა და მიმდინარე ტექნიკური მომსახურებების გაწევას.

კომპანიის საქმიანობა მჭიდროდ უკავშირდება შპს „ჰუავეი ინვესტმენტ ენდ ჰოლდინგ კო.“-ს („ჰუავეი“) ხელმძღვანელობის ქვეშ არსებული ჯგუფის მოთხოვნებს, რომელიც მისი საბოლოო მშობელი კომპანიაა და მდებარეობს შენჩენში (ჩინეთი). „ჰუავეი“ კერძო კომპანიაა, რომელიც მთლიანად მისი თანამშრომლების მფლობელობაშია.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან განხილულია 18-ე შენიშვნაში.

2. აღრიცხვის საფუძველი

შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან („ფასს“) სრულ შესაბამისობაში.

აღრიცხვის უწყვეტი ფუნქციონირების საფუძველი

ხელმძღვანელობას აქვს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ კომპანიას აქვს საკმარისი რესურსები მუშაობის გასაგრძელებლად სულ მცირე მომდევნო 12 თვის განმავლობაში და რომ აღრიცხვის უწყვეტი ფუნქციონირების საფუძველები კვლავ შესაბამისი რჩება. COVID-19 პანდემიის აფეთქებამ და საქართველოს მთავრობის მიერ, გავრცელების შესამსუბუქებლად მიღებულმა ზომებმა მნიშვნელოვანი გავლენა არ იქონია კომპანიის საქმიანობაზე. კომპანიამ ჩვეულ რეჟიმში განაგრძო თავისი საქმიანობა. კარანტინის პერიოდის განმავლობაში კომპანიის საქმიანობა არ შეწყვეტილა, რადგან სამშენებლო სამუშაოები არ აიკრძალა. კომპანიას დადებული აქვს მომსახურების ხელშეკრულებები დაფარვის ვადით 2023 წლამდე და ასევე მიმდინარეობს მომხმარებლებთან ახალი ხელშეკრულებების გაფორმება, რაც ბიზნესის ჩვეულებრივ მიმდინარეობას წარმოადგენს.

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, კომპანიამ აღიარა 854 ათასი ლარის ოდენობით მოგება. 2020 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიის წმინდა აქტივები 8,746 ათას ლარს შეადგენდა. კომპანიას აქვს 14,563 ათასი ლარის ოდენობით ლიკვიდური რესურსები, რომელიც მოიცავს ფულადი სახსრებისა და მათ ეკვივალენტებს და სხვა მაღალ-ლიკვიდურ რესურსების. საოპერაციო ფულადი ნაკადების უარყოფითი შედეგები, ძირითადად, გამოწვეული იყო სავაჭრო მოთხოვნების მნიშვნელოვანი ზრდით. კომპანია დარწმუნებულია, რომ დაუფარავი სავაჭრო მოთხოვნების უმეტეს ნაწილს 2021 წლის განმავლობაში მიიღებს. აღნიშნულს დადებითი გავლენა ექნება კომპანიის საოპერაციო ფულად ნაკადებზე 2021 წელს. 2020 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიას არ გააჩნია დაუფარავი სესხები.

ამ ფაქტორების გათვალისწინებით, ხელმძღვანელობას აქვს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ კომპანიას აქვს საკმარისი და ადეკვატური რესურსები, რომ გააგრძელოს თავისი საქმიანობა უახლოეს მომავალში. შესაბამისად, ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ არ არსებობს მნიშვნელოვანი გაურკვევლობა კომპანიის უნართან დაკავშირებით განაგმოს საქმიანობა უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპის მიხედვით.

3. სამუშაო და წარდგენის ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტაა ქართული ლარი, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას და ვალუტას, რომელშიც წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე, გარდა სხვაგვარად მითითებული შემთხვევებისა.

4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

ფასს-თან შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს მსჯელობებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკაზე და წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.

სააღრიცხვო შეფასებების და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგად გამოწვეული ცვლილებები, აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზედაც მათ ექნებათ გავლენა.

ინფორმაცია ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენის მქონე სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებაში კრიტიკული მსჯელობების და ასევე იმ ვარაუდებისა და შეფასებასთან დაკავშირებული უზუსტობების შესახებ, რომლებიც მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში არსებითი ცვლილებების მნიშვნელოვანი რისკის წინაშე დგანან, განხილულია შემდეგ შენიშვნებში:

- შენიშვნა 5(d) - ნაკისრი ვალდებულებები და შემოსავლის აღიარების პოლიტიკები; და
- შენიშვნა 15 - საიჯარო ვადა და დისკონტირების განაკვეთი; და
- შენიშვნა 16(b)(ii) - საკრედიტო რისკი.

სამართლიანი ღირებულებების შეფასება

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, კომპანია შეძლებისდაგვარად იყენებს ბაზრის დაკვირვებად მონაცემებს. სამართლიანი ღირებულებები ჯგუფდება სხვადასხვა დონეების მიხედვით სამართლიანი ღირებულების იერარქიაში, შეფასების მეთოდოლოგიებში გამოყენებული ინფორმაციის საფუძველზე:

- დონე 1: კოტირებული საბაზრო ფასი (კორექტირების გარეშე) აქტიურ ბაზარზე ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტისთვის.

- დონე 2: მონაცემები გარდა პირველ დონეში შემავალი მონაცემებისა, რომლებიც დაკვირვებადია როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისაგან წარმოებული).
- დონე 3: მონაცემები აქტივისა და ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არადაკვირვებადი მონაცემები).

იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული მონაცემების დაჯგუფება შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების სხვადასხვა დონეებში, მაშინ სამართლიანი ღირებულების შეფასების დაჯგუფება ხდება მთლიანობაში, სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეში, რომელშიც ყველაზე დაბალი დონის მონაცემებია, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

კომპანია ახდენს სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეებს შორის გადასვლის აღიარებას ანგარიშგების პერიოდის ბოლოს, რომლის განმავლობაშიც ადგილი ჰქონდა ცვლილებას.

სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გაკეთებული დაშვებების შესახებ დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შენიშვნაში 16(a) - სააღრიცხვო კლასიფიკაციები და სამართლიანი ღირებულებები.

5. შემოსავალი

(a) შემოსავლის წყაროები

'000 ლარი	2020	2019
შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	13,883	11,762

(b) მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლების ჩაშლა

ცხრილში მოცემულია საქართველოში კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლის ჩაშლა ძირითადი მომსახურების ხაზების და შემოსავლის აღიარების ვადების მიხედვით.

31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

'000 ლარი	2020	2019
ძირითადი მომსახურების ხაზები		
ქსელის ტექნიკური მომსახურება	7,445	7,346
გაყიდვების მხარდაჭერი მომსახურება	3,414	1,504
აპარატურის მონტაჟი, ექსპლუატაციაში შეყვანა და ინტეგრაცია	2,373	2,255
ტრენინგი	558	-
საგარანტიო მომსახურება	93	104
პროგრამული განახლების ინსტალაცია	-	553
	13,883	11,762
შემოსავლის აღიარების ვადები		
პროდუქტები და მომსახურება გადაცემული გარკვეული დროის მანძილზე	13,883	11,210
პროდუქტები და მომსახურება გადაცემული დროის გარკვეულ მომენტში	-	552
შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	13,883	11,762

გაყიდვების მხარდამჭერი მომსახურება ასევე მოიცავს ტექნიკური მხარდაჭერის მომსახურებისთვის მიღებულ შემოსავალს, რომლის ხარჯვითი ნაწილი შეტანილია "გაყიდვების თვითღირებულებაში".

(c) სახელშეკრულებო ნაშთები

მოცემული ცხრილი ასახავს ინფორმაციას მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილ მოთხოვნებზე, სახელშეკრულებო აქტივებზე და სახელშეკრულებო ვალდებულებებზე.

'000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
"სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში" შეტანილი მოთხოვნები	11	9,519	3,132
სახელშეკრულებო აქტივები		2,868	1,418
სახელშეკრულებო ვალდებულებები	14	(582)	(376)

სახელშეკრულებო აქტივები ძირითადად უკავშირდება კომპანიის უფლებებს მიიღოს, საანგარიშგებო თარიღისთვის პროგრამული განახლების და ტექნიკური მხარდაჭერის მომსახურებაზე დასრულებული (მაგრამ არა დარიცხული) სამუშაოს ანაზღაურება. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სახელშეკრულებო აქტივების ოდენობაზე გავლენა იქონია გაუფასურების რეზერვმა 12 ათასი ლარის ოდენობით (2019: 71 ათასი ლარი). სახელშეკრულებო აქტივები გადადის მოთხოვნებში როდესაც უფლებები ხდება უპირობო. აღნიშნული როგორც წესი ხდება მაშინ როდესაც კომპანია კომერციულ ინვოისს გასცემს კლიენტზე.

სახელშეკრულებო ვალდებულებები ძირითადად უკავშირდება კლიენტებზე, შესრულებული სამუშაოს წინსწრებით გაცემულ კომერციულ ინვოისებს და რომლებისთვისაც შემოსავალი აღიარდება გარკვეული დროის მანძილზე. 102 ათასი ლარის ოდენობის თანხა პერიოდის დასაწყისში აღიარებული სახელშეკრულებო ვალდებულებებში, 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის აღიარებულ იქნა როგორც შემოსავალი (2019: 140 ათასი ლარი). სახელშეკრულებო ვალდებულება, 582 ათასი ლარის ოდენობით 2020 წლის 31 დეკემბრისთვის, (2019 წლის 31 დეკემბერი: 376 ათასი ლარი) მოსალოდნელია, რომ იქნება აღიარებული შემოსავლის სახით შემდეგი წლის განმავლობაში.

არ არსებობს ინფორმაცია ნარჩენი შესასრულებელი ვალდებულებების შესახებ 2020 წლის 31 დეკემბრისთვის, რომელთაც აქვთ თავდაპირველი მოსალოდნელი ხანგრძლივობა 1 წელი ან ნაკლები (ფასს 15-ით ნებადართულის შესაბამისად).

(d) ნაკისრი ვალდებულებები და შემოსავლის აღიარების პოლიტიკები

შემოსავალი ფასდება კლიენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებული ანაზღაურების მიხედვით. კომპანია აღიარებს შემოსავალს როდესაც ის მომხმარებელს გადასცემს კონტროლს საქონელსა ან მომსახურებაზე.

შემდეგ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი ნაკისრი ვალდებულებების დაკმაყოფილების ხასიათისა და ვადების შესახებ, მათ შორის მნიშვნელოვანი გადახდის პირობები და დაკავშირებული შემოსავლის აღიარების პოლიტიკები.

მომსახურების სახეობა	ნაკისრი ვალდებულებების დაკმაყოფილების ხასიათი და ვადები, მნიშვნელოვანი გადახდის პირობების ჩათვლით	შემოსავლის აღიარების პოლიტიკები
ქსელის ტექნიკური მომსახურება	ტექნიკური მომსახურება წარმოადგენს კომპანიის მუდამ მზადყოფნაში არსებულ ვალდებულებას, რომ მიაწოდოს კლიენტებს დისტანციური ტექნიკური მომსახურება, ქსელის და აღჭურვილობის მუშა მდგომარეობის შემოწმება და ქსელის აუდიტორული მომსახურება. კლიენტები, როგორც წესი, იხდიან თვიურად/კვარტალურად თანაბარ ოდენობებს კონტრაქტის ხანგრძლივობის მანძილზე. კონტრაქტები, როგორც წესი, ფორმდება 1-2 წლიანი ვადით. ინვოისები, როგორც წესი, გადაიხდება 30 დღის ვადაში.	შემოსავალი აღიარდება დროის განმავლობაში მომსახურების გაწევასთან ერთად, გასული დროის მითითებით.
აპარატურის მონტაჟი, ექსპლუატაციაში შეყვანა და ინტეგრაცია	მსგავსი ტიპის კონტრაქტის მიხედვით, კომპანია აინსტალირებს კლიენტის მიერ ფლობილ აპარატურას კლიენტის ტერიტორიაზე, ამოწმებს მისი ფუნქციების შესაბამისობას გამიზნულთან მიმართებაში და აინტეგრირებს ახალ აღჭურვილობას არსებულ ქსელში. მსგავსი ხელშეკრულებების ფარგლებში, კომპანია გასცემს კლიენტებზე გარანტიებს შესრულებულ სამუშაოზე. იხილეთ სააღრიცხვო პოლიტიკები გარანტიებისთვის ქვემოთ მოცემულ სექციაში „შემოსავალი საგარანტიო მომსახურებიდან“. მსგავსი ხელშეკრულების მიხედვით, კლიენტი აკონტროლებს შესრულებულ სამუშაოს აპარატურის მონტაჟის, ექსპლუატაციაში შეყვანის და ინტეგრირების პროცესში. მსგავსი მომსახურება გაიწევა აღჭურვილობაზე, რომელიც უკვე მდებარეობს კლიენტის ტერიტორიაზე და კომპანიის მიერ გაწეული სამუშაო აუმჯობესებს კლიენტის მიერ ფლობილ აღჭურვილობის ქმედითუნარიანობას. ინვოისები გაიცემა სახელშეკრულებო პირობების მიხედვით და როგორც წესი უნდა იყოს გადახდილი 30 დღის ვადაში. გასაინვოისებელი თანხები აღიარდება, როგორც სახელშეკრულებო აქტივები.	შემოსავალი და მასთან დაკავშირებული ხარჯები აღიარდება დროის განმავლობაში. შემოსავალი აღიარდება ეტაპობრივად „ხარჯი-ხარჯთან“ მეთოდის გამოყენებით. დაკავშირებული ხარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში გაწევისთანავე. თუ ერთი ხელშეკრულების ფარგლებში შეთანხმებული მომსახურება გაიწევა სხვადასხვა სააღრიცხვო პერიოდებში, მაშინ გადახდილი ოდენობა ნაწილდება შესაბამისი მომსახურების ცალკე-ცალკე აღებული გასაყიდი ფასის მიხედვით. ცალკე-ცალკე გასაყიდი ფასი დგინდება „მოსალოდნელ ხარჯებს დამატებული მოგების მარჟა“ მიდგომის გამოყენებით. თუ კომპანიამ აღიარა შემოსავალი, მაგრამ ჯერ არ არის უფლებამოსილი რომ გასცეს ინვოისი, მაშინ მისი უფლებები ანაზღაურების მიღებაზე აღიარდება, როგორც სახელშეკრულებო აქტივი. სახელშეკრულებო აქტივი გადადის მოთხოვნებში როდესაც გადახდის მიღების უფლება ხდება უპირობო. მიღებული ავანსები შედის სახელშეკრულებო ვალდებულებებში.

მომსახურების სახეობა	ნაკისრი ვალდებულებების დაკმაყოფილების ხასიათი და ვადები, მნიშვნელოვანი გადახდის პირობების ჩათვლით	შემოსავლის აღიარების პოლიტიკები
გაყიდვების მხარდამჭერი მომსახურება	გაყიდვების მხარდამჭერი მომსახურება მოიცავს მარკეტინგს და სარეკლამო ღონისძიებებს რომლებიც მიზნად ისახავს „Trading Hub“-ს (კომპანიათაშორისი საწარმო) საქონლის გაყიდვის მაქსიმიზაციას მოცემულ ტერიტორიაზე, და/ან სხვა დაკავშირებული მომსახურებისა რომელზეც მხარეები თანხმდებიან დროდადრო. მომსახურების საკომისიო თითოეული კონტრაქტისთვის არის მომსახურების ხარჯების ჯამს დამატებული ფასნამატი.	შემოსავალი მსგავსი მომსახურებისთვის აღიარდება დროის განმავლობაში. თუ მომსახურება სრულდება ძალიან მოკლე დროის პერიოდში, ასეთი მომსახურებისთვის შემოსავალი აღიარდება მომსახურების გაწევის დასრულებისას.
პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაციის მომსახურება	მსგავსი ხელშეკრულებების მიხედვით, კომპანია გასწევს პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაციის მომსახურებას კლიენტებზე. კლიენტი იღებს სარგებელს და ნაკისრი ვალდებულება ითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროგრამული უზრუნველყოფა დაინსტალირებულია. ამ მომენტში გამოიწერება ინვოისები. ინვოისები, როგორც წესი, გადაიხდება 30 დღის ვადაში.	შემოსავალი აღიარდება დროის იმ მომენტში, როდესაც კლიენტი ჩაიბარებს საქონელსა და მომსახურებას, რადგან კომპანიას არ აქვს იურიდიული უფლება მოითხოვოს გადახდა ამ მომენტზე ადრე დასრულებული მომსახურებისთვის.
ტრენინგები	მსგავსი ხელშეკრულებების მიხედვით, კლიენტი თანადროულად იღებს და მოიხმარს საწარმოს მიერ გაწეული მომსახურების სარგებელს მაშინ, როდესაც საწარმო გასწევს აღნიშნულ მომსახურებას. მსგავსი ხელშეკრულებების მიხედვით, კომპანია მომსახურების გასწევს დროის მოკლე პერიოდში. ინვოისები გაიცემა სახელშეკრულებო პირობების მიხედვით და როგორც წესი უნდა იყოს გადახდილი 30 დღის ვადაში.	შემოსავალი მსგავსი მომსახურებისთვის აღიარდება დროის განმავლობაში. თუ მომსახურება სრულდება ძალიან მოკლე დროის პერიოდში, ასეთი მომსახურებისთვის შემოსავალი აღიარდება მომსახურების გაწევის დასრულებისას.
შემოსავალი საგარანტიო მომსახურებიდან	კომპანია უზრუნველყოფს „გახანგრძლივებულ გარანტიას“, როგორიცაა კლიენტებისთვის, აღჭურვილობის მწარმოებელი კომპანიისგან მიწოდებულ სტანდარტულ გარანტიაზე დამატებით 1-3 წლამდე გახანგრძლივებული გარანტია. რადგანაც გახანგრძლივებული გარანტია გაიცემა როგორც დამატება მესამე მხარეების მიერ გაცემულ სტანდარტულ გარანტიაზე, მსგავსი გარანტია განიხილება, როგორც ცალკე ნაკისრი ვალდებულება. კომპანია არ უზრუნველყოფს კლიენტებს სტანდარტული გარანტიით.	შემოსავალი მსგავსი მომსახურებისთვის აღიარდება თანაბრად საგარანტიო პერიოდის მანძილზე.

6. გაყიდვების თვითღირებულება

'000 ლარი	2020	2019
საინჟინრო მომსახურება	4,581	4,463
პერსონალის ხარჯები	2,971	2,100
ტექნიკური მხარდაჭერის მომსახურების საფასური	1,481	149
საიჯარო ხარჯი	516	319
ცვეთის ხარჯი	336	242
გაუფასურების ზარალი მარაგებზე	191	171
ტრენინგების ხარჯები	122	-
გართობის ხარჯები	122	16
სამგზავრო ხარჯები	87	40
სატრანსპორტო საშუალებების ხარჯები	78	106
კაპიტალიზაციის განაკვეთზე დაბალი აქტივები	72	11
სატელეკომუნიკაციო ხარჯი	17	15
საოფისე ხარჯი	13	9
სხვა	192	160
	10,779	7,801

2020 წლის განმავლობაში კომპანიამ შეცვალა მისი ხარჯების განაწილება ჯგუფებს შორის, შესაბამისად შეიცვალა ხარჯების განაწილება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვისაც. ცვლილება განხორციელდა გაყიდვების თვითღირებულების და გაყიდვებისა და ადმინისტრაციული ხარჯების მეტად შესაბამისი და გონივრული წარდგენისთვის (შენიშვნა 7). ძირითადი რეკლასიფიკაცია მოხდა საინჟინრო მომსახურებასა და პერსონალის ხარჯებს შორის, კომპანიის თანამშრომლებისთვის 1C და GTS მარკეტინგის და მხარდაჭერის მომსახურების გაწევისთვის განხორციელებული, 1,422 ათასი ლარის ოდენობით გადახდების (პერსონალის ხარჯები) ხელახალი განაწილების შედეგად.

2020 წელს, კომპანიამ შეიძინა საკონსულტაციო მომსახურება, რომელიც წარმოადგენილია ზემოთ მოცემულ ცხრილში როგორც "ტექნიკური მხარდაჭერის მომსახურების საფასური". აღნიშნული მომსახურება საჭირო იყო დაკავშირებული მხარისთვის მხარდაჭერის მომსახურების გასაწევად, რომელიც პროგრამული უზრუნველყოფის გამართულად ფუნქციონირებას უკავშირდება (დაკავშირებული შემოსავლისთვის იხ. შენიშვნა 5(ბ)).

7. გაყიდვის და ადმინისტრაციული ხარჯები

'000 ლარი	2020	2019
პერსონალის ხარჯები	1,419	2,960
აუტოსონინგის ხარჯები	400	668
პროფესიული მომსახურების საფასური	159	279
საიჯარო ხარჯი	118	81
ცვეთის ხარჯი	111	305
სამგზავრო ხარჯები	22	47
სატრანსპორტო საშუალებების ხარჯები	10	38
სატელეკომუნიკაციო ხარჯი	5	6
გადაზიდვის ხარჯი	3	5
საოფისე ხარჯი	3	7
სხვა	125	146
	2,375	4,542

2020 წლის განმავლობაში, კომპანიამ ხარჯების განაწილება შეცვალა, დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 6. ძირითადი რეკლასიფიკაცია მოხდა აუტოსორსინგის ხარჯებსა და პერსონალის ხარჯებს შორის, კომპანიის თანამშრომლებისთვის მარკეტინგის და სარეკლამო საქმიანობის/პროექტების განხორციელებისთვის განხორციელებული, 1,403 ათასი ლარის ოდენობით გადახდების (პერსონალის ხარჯები) ხელახალი განაწილების შედეგად.

8. წმინდა ფინანსური შემოსავალი

'000 ლარი	2020	2019
აღიარებული მოგებაში ან ზარალში		
უცხოური გაცვლითი კურსის წმინდა შემოსულობა	776	539
საპროცენტო შემოსავალი	69	30
ფინანსური შემოსავალი	845	569
პროცენტი საიჯარო ვალდებულებაზე	(89)	(101)
ფინანსური ხარჯები	(89)	(101)
მოგებაში ან ზარალში და სხვა სრულ შემოსავალში		
აღიარებული წმინდა ფინანსური შემოსავალი	756	468

9. მოგების გადასახადები

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი განაწილების თარიღამდე. კანონი ძალაში შედის საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსის მიხედვით, საგადასახადო ანაზღაურება ხელმისაწვდომია გადახდილ მიმდინარე გადასახადზე 2008-2016 წლების გაუნაწილებელ მოგებაზე, თუ ასეთი მოგება განაწილდება 2017 ან შემდეგ წლებში. 2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას შეუძლია მოითხოვოს გადასახადის ჩათვლა 2021 წელს ან შემდგომ წლებში განაწილებული მოგებისთვის 873 ათასი ლარის ოდენობით. საგადასახადო აქტივი შეიძლება გამოყენებული იქნას მხოლოდ 2008-2016 წლებისთვის გამოცხადებული დივიდენდებისთვის, თუ დივიდენდები გამოცხადებულია სხვა პერიოდებისთვის საგადასახადო ვალდებულება გადახდილია სრულად.

10. ძირითადი საშუალებები

'000 ლარი	მანქანა- დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	ელექტრონული აღჭურვილობა	აქტივი გამოყენების უფლებით	სხვა	სულ
თვითღირებულება						
ნაშთი						
2019 წლის 1 იანვარს	25	127	1,045	1,272	252	2,721
შესყიდვები	-	-	263	-	-	263
გაყიდვები	(3)	(1)	(51)	-	(3)	(58)
ნაშთი						
2019 წლის 31 დეკემბერს	22	126	1,257	1,272	249	2,926
ნაშთი 2020 წლის						
1 იანვარს	22	126	1,257	1,272	249	2,926
შესყიდვები	-	-	185	-	6	191
გაყიდვები	-	-	(76)	-	(67)	(143)
ნაშთი						
2020 წლის 31 დეკემბერს	22	126	1,366	1,272	188	2,974
ცვეთა						
ნაშთი						
2019 წლის 1 იანვარს	(5)	(32)	(841)	-	(21)	(899)
ცვეთის დარიცხვა წლის განმავლობაში	(2)	(24)	(240)	(260)	(19)	(545)
გაყიდვები	-	-	53	-	3	56
ნაშთი						
2019 წლის 31 დეკემბერს	(7)	(56)	(1,028)	(260)	(37)	(1,388)
ნაშთი 2020 წლის 1						
იანვარს	(7)	(56)	(1,028)	(260)	(37)	(1,388)
ცვეთის დარიცხვა წლის განმავლობაში	(2)	(19)	(151)	(260)	(15)	(447)
გაყიდვები	-	-	71	-	26	97
ნაშთი						
2020 წლის 31 დეკემბერს	(9)	(75)	(1,108)	(520)	(26)	(1,738)
საბალანსო ღირებულებები						
2019 წლის 1 იანვარს	20	95	204	-	231	550
2019 წლის 31 დეკემბერს	15	70	229	1,012	212	1,538
2020 წლის 31 დეკემბერს	13	51	258	752	162	1,236

გაყიდვების თვითღირებულებასა და გაყიდვებისა და ადმინისტრაციულ ხარჯებზე დარიცხული ცვეთის ხარჯი განხილულია მე-6 და მე-7 შენიშვნებში, შესაბამისად.

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

'000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო მოთხოვნები		10,018	3,270
ავანსები		9	-
სხვა მოთხოვნები		61	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		10,088	3,270
გამოკლებული: უიმედო ვალის რეზერვი	16(b)(ii)	(499)	(138)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, წმინდა		9,589	3,132

კომპანიის დამოკიდებულება საკრედიტო და სავალუტო რისკებზე და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალი განხილულია მე-16 შენიშვნაში.

12. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ბანკში არსებული ნაშთები	2,106	9,394
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში	2,106	9,394

2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკებში არსებული ფულადი ნაშთები არც გაუფასურებული და არც ვადაგადაცილებულია. კომპანიის საპროცენტო რისკზე დაქვემდებარება და ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მგრძნობელობის ანალიზი განხილულია მე-16-ე შენიშვნაში.

13. კაპიტალი და კაპიტალის მართვა

(a) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კაპიტალის ნომინალურ ღირებულებას კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტებში.

'000 ლარი	2020	2019
გამოშვებული და გადახდილი საწესდებო კაპიტალი 1 იანვრის მდგომარეობით	333	333
ნაშთი 31 დეკემბრის	333	333

(b) დივიდენდები

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, „კომპანიის“ გასანაწილებელი რეზერვები იზღუდება გაუნაწილებელი მოგების ნაშთით, ფასს-ის შესაბამისად მომზადებულ „კომპანიის“ ნორმატიულ ფინანსურ ანგარიშგებაში განსაზღვრულის შესაბამისად.

2020 წელს, კომპანიამ გამოაცხადა და გადაიხადა 308 ათასი ლარის ოდენობით დივიდენდები მის მესაკუთრეებზე (2019: ნული).

(c) კაპიტალის მართვა

კომპანიას არ გააჩნია კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს შეინარჩუნოს კაპიტალის საკმარისი ბაზა კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიული მიზნების განსახორციელებლად და ბაზრის მონაწილეთა ნდობის შესანარჩუნებლად. აღნიშნული მიიღწევა ფულადი სახსრების ეფექტური მართვით, კომპანიის შემოსავლებისა და მოგების მუდმივი მონიტორინგის გზით, და გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმებით რომლებიც ძირითადად კომპანიის საოპერაციო ფულადი ნაკადებით ფინანსდება.

კომპანიის ვალის კაპიტალთან თანაფარდობის კოეფიციენტი 31 დეკემბერს იყო შემდეგი:

'000 ლარი	2020	2019
სულ ვალდებულებები	7,605	7,720
გამოკლებული: ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	(2,106)	(9,394)
წმინდა ვალი	5,499	(1,674)
სულ კაპიტალი	8,746	8,200
ვალის კაპიტალთან თანაფარდობა 31 დეკემბერს	0.63	(0.20)

კომპანიის კაპიტალის მართვის მიდგომაში წლის განმავლობაში ცვლილებები არ განხორციელებულა. კომპანია არ ექვემდებარება გარედან დაწესებულ კაპიტალთან დაკავშირებულ მოთხოვნებს.

14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები და სახელშეკრულებო ვალდებულებები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
დარიცხული ხარჯი	2,625	1,887
ვალდებულება დაკავშირებული მხარის მიმართ	2,186	2,832
სახელშეკრულებო ვალდებულებები	582	376
სახელფასო ვალდებულებები	500	506
სავაჭრო ვალდებულებები	496	726
სხვა ვალდებულებები	47	39
	6,436	6,366

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან დაკავშირებულ სავალუტო და ლიკვიდურობის რისკებზე დაქვემდებარება განხილულია 16-ე შენიშვნაში.

15. იჯარები

(a) იჯარები როგორც მოიჯარე

კომპანიას, როგორც მოიჯარეს აქვს რამოდენიმე საიჯარო ხელშეკრულება ადგილობრივ კომპანიებთან. იჯარები როგორც წესი 1-დან 5-წლამდე გრძელდება, კონკრეტულ შემთხვევებში, აღნიშნული თარიღის შემდეგ იჯარის განახლების შესაძლებლობით. 2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია ძირითადად იჯარით იღებს მის საოფისე ფართებს.

კომპანია ასევე იჯარით იღებს ქონებას სხვადასხვა მიზნისთვის (ბინები უცხოელი თანამშრომლებისთვის, კაფეტერიის სივრცე). აღნიშნული წარმოადგენს მოკლევადიან იჯარებს. კომპანიამ აირჩია არ აღიაროს აქტივები გამოყენების უფლებით და საიჯარო ვალდებულებები აღნიშნული იჯარებისთვის. საიჯარო ხარჯები პირდაპირ აღრიცხულია მოგებისა ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ინფორმაცია იჯარებზე, რომლებშიც კომპანია მოქმედებს როგორც მოიჯარე და აღრიცხავს აქტივს გამოყენების უფლებით და საიჯარო ვალდებულებას წარმოდგენილია ქვემოთ:

აქტივები გამოყენების უფლებით

'000 ლარი	2020	2019
ნაშთი 1 იანვარს	1,012	1,272
ცვეთის დარიცხვა წლის განმავლობაში	(260)	(260)
ნაშთი 31 დეკემბერს	752	1,012

მოგებაში ან ზარალში აღიარებული ოდენობები

'000 ლარი	2020	2019
პროცენტი საიჯარო ვალდებულებაზე	89	101
მოკლევადიან იჯარებთან დაკავშირებული ხარჯები	634	272

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში აღიარებული ოდენობები

'000 ლარი	2020	2019
სულ ფულადი სახსრების გადინება იჯარებისთვის, გარდა მოკლევადიანი იჯარებისა	362	392
სულ ფულადი სახსრების გადინება მოკლევადიანი იჯარებისთვის	669	270

საიჯარო ვალდებულებები

'000 ლარი	2020	2019
ნაშთი 1 იანვარს	1,130	1,325
საპროცენტო ხარჯი	89	101
საკურსო სხვაობა	156	96
საიჯარო გადახდები	(362)	(392)
ნაშთი 31 დეკემბერს	1,013	1,130

საიჯარო ვალდებულებების შეფასებისას, კომპანია ადისკონტირებს მის საიჯარო გადახდებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ იჯარის დაწყების თარიღის პერიოდისთვის გამოქვეყნებული სასესხო განაკვეთის გამოყენებით. 2020 წლისთვის გამოყენებული საპროცენტო განაკვეთი არის 8.2% (2019: 8.2%).

(ბ) საიჯარო ვადა და გახანგრძლივების შესაძლებლობები

კომპანია ფართოდ განმარტავს საიჯარო ხელშეკრულებებში იჯარის სავალდებულო აღსრულების შესაძლებლობას. საიჯარო ვადა ასახავს კომპანიის გონივრულ შეფასებას იმ პერიოდისა რომლის განმავლობაშიც შესაბამისი აქტივი იქნება გამოყენებული. საიჯარო ვადის დადგენისას კომპანია ამყარებს მის განსჯას ხელშეკრულების და შესაბამისი აქტივის ფართო ეკონომიკაზე და არა მხოლოდ სახელშეკრულებო პირობებზე, რაც საშუალებას იძლევა ფაქტორებს როგორებიცაა, ეკონომიკური ჯარიმები, იურიდიული მიდგომა იჯარის განახლებასთან და რეგულაციის მოსალოდნელი ცვლილებები ეფექტურად იყოს ასახული იჯარის ვადის შეფასებაში.

იჯარის იძულებითი აღსრულების პერიოდის განსაზღვრისას, კომპანია ასევე ითვალისწინებს საიჯარო კეთილმოწყობების მიტოვების ან დაშლის ხარჯებს, ადგილმდებარეობის შეცვლის ხარჯს და ა.შ.

საოფისე ფართებთან დაკავშირებული საიჯარო ხელშეკრულებები ძალაშია 2023 წლამდე წინასწარ განსაზღვრული საიჯარო გადახდებით, სადაც:

- პერიოდი 2021 წლამდე – თუ მოიჯარე შეწყვეტს ხელშეკრულებას, ჯამური სახელშეკრულებო საიჯარო გადახდები 2021 წლამდე მაინც ექვემდებარება დაფარვას; მეიჯარეს არ აქვს უფლება შეწყვიტოს ხელშეკრულება;
- პერიოდი 2021 წლიდან 2023 წლამდე – ორივეს, მოიჯარეს და მეიჯარეს შეუძლიათ შეწყვიტონ ხელშეკრულება, შეწყვეტამდე 6 თვით ადრე შეტყობინების საფუძველზე;
- პერიოდი 2023 წლის შემდეგ – ხელშეკრულება ავტომატურად არის განახლებადი ყოველ წელს ერთი დამატებითი წლით, იმ შემთხვევაში თუ არც მოიჯარე და არც მეიჯარე არ გამოიყენებს დაფარვის თარიღამდე 6 თვით ადრე შეწყვეტის შეტყობინების წესს.

2019 წლის 1 იანვრისთვის, ფასს 16-ზე გადასვლისას, კომპანიამ გაანალიზა ყველა შესაბამისი ფაქტი და გარემოება და დააკვნა, რომ ზემოაღნიშნული საიჯარო ხელშეკრულებების საიჯარო ვადა არის 2023 წლის სექტემბერი-ოქტომბერი.

16. სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა

(a) სააღრიცხვო კლასიფიკაციები და სამართლიანი ღირებულებები

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის დადებულ სტანდარტულ ოპერაციაში აქტივის გაყიდვიდან მიღებული ან ვალდებულების გადაცემისთვის გადახდილი ფასის მიახლოება. თუმცა, გაურკვევლობებიდან და სუბიექტური მსჯელობის გამოყენებიდან გამომდინარე, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული როგორც რეალიზებადი აქტივების დაუყოვნებელი გაყიდვისას ან ვალდებულებების გადაცემისას.

კომპანიამ განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება შეფასების ტექნიკების გამოყენებით. შეფასების ტექნიკის მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრებამდე მისვლა. გამოყენებული შეფასების ტექნიკა წარმოადგენს დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელს. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ანგარიშდება ძირითადი თანხის და პროცენტის მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, რომელიც ანგარიშგების თარიღში პროცენტის საბაზრო განაკვეთით დისკონტირდება.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მათი საბალანსო ღირებულებებიდან არსებითად არ განსხვავდება.

(b) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობის გამო კომპანია შემდეგ რისკებს გასწევს:

- a) საკრედიტო რისკი (იხილეთ შენიშვნა 16(b)(ii));
- b) ლიკვიდურობის რისკი (იხილეთ შენიშვნა 16(b)(iii));
- c) საბაზრო რისკი (იხილეთ შენიშვნა 16(b)(iv)).

(i) რისკის მართვის სტრუქტურა

ხელმძღვანელობას აქვს სრული პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის სტრუქტურის დანერგვასა და ზედამხედველობაზე; ის პასუხს აგებს კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკების შემუშავებასა და მონიტორინგზე და ამ საქმიანობასთან დაკავშირებით რეგულარულად წარუდგენს ანგარიშს აქციონერებს.

კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკები განისაზღვრება მის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზისთვის, შესაბამისი რისკების საზღვრებისა და საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისთვის და რისკებისა და საზღვრების დაცვის გაკონტროლებისთვის. რისკების მართვის პოლიტიკები და სისტემები რეგულარულად განიხილებიან ბაზრის პირობებისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების ასახვის მიზნით. სასწავლო და მართვის სტანდარტების და პროცედურების გამოყენებით კომპანიის მიზანს წარმოადგენს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემოს შექმნა, სადაც თანამშრომლებს გაცნობიერებული ექნებათ თავიანთი ფუნქციები და ვალდებულებები.

აქციონერები ზედამხედველობას უწევენ, თუ რამდენად აკონტროლებს ხელმძღვანელობა კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკებთან და პროცედურებთან შესაბამისობას და განიხილავენ რისკების მართვის ჩარჩოების ადეკვატურობას იმ რისკებთან მიმართებაში, რომლის წინაშეც დგას კომპანია.

(ii) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს კომპანიის ფინანსური ზარალის რისკს, თუ ფინანსური ინსტრუმენტის მომხმარებელი ან კონტრაგენტი ვერ დააკმაყოფილებს მის სახელშეკრულებო ვალდებულებებს და ამგვარი რისკი ძირითადად წარმოიშობება სავაჭრო მოთხოვნებიდან და სახელშეკრულებო აქტივებიდან.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი თითოეული ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება მაქსიმალურ საკრედიტო რისკზე დაქვემდებარებას წარმოადგენს.

2020 წელს, კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილ სავაჭრო მოთხოვნებსა და სახელშეკრულებო აქტივებზე მოგებაში ან ზარალში აღიარებულმა გაუფასურების ზარალმა 303 ათასი ლარი შეადგინა (2019: გაუფასურების ზარალის აღდგენა 1,010 ათასი ლარი).

სავაჭრო მოთხოვნები და სახელშეკრულებო აქტივები

„კომპანიის“ საკრედიტო რისკზე დამოკიდებულებაზე მოქმედებს თითოეული კლიენტის ინდივიდუალური მახასიათებლები, ასევე ფაქტორები, რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინონ „კომპანიის“ კლიენტთა ბაზის საკრედიტო რისკზე, მათ შორის იმ ინდუსტრიის და ქვეყნის დეფოლტის რისკზე, რომელშიც ოპერირებენ კლიენტები. 2020 წელს კომპანიის შემოსავლის დაახლოებით 55% (2019 წელს: 60%) უკავშირდება გაყიდვის ოპერაციებს ერთ კლიენტთან.

ხელმძღვანელობამ შეიმუშავა საკრედიტო პოლიტიკა, რომლის თანახმადაც ყველა კლიენტის კრედიტუნარიანობა ინდივიდუალურად ფასდება კომპანიის სტანდარტული გადახდის და მიწოდების პირობების შეთავაზებამდე. კომპანიის მიმოხილვა მოიცავს გარე რეიტინგებს, ხელმისაწვდომობის შემთხვევაში, ფინანსურ ანგარიშგებას, საკრედიტო სააგენტოებიდან მიღებულ ინფორმაციას, ინდუსტრიის შესახებ ინფორმაციას და რიგ შემთხვევებში საბანკო ინფორმაციას. თითოეული კლიენტისთვის წესდება გაყიდვების ლიმიტები და გადაიხედება რეგულარულად. ნებისმიერი გაყიდვები რომელიც აჭარბებს ზღვარს საჭიროებს დადასტურებას.

„კომპანიის“ კლიენტების უმეტესობა ოპერაციებს ახორციელებდა „კომპანიასთან“ სამ წელზე მეტი ხნის განმავლობაში. კლიენტების საკრედიტო რისკის შემოწმებისას, კლიენტები ჯგუფდება მათი საკრედიტო მახასიათებლების მიხედვით, მათ შორის მათი გეოგრაფიული ადგილმდებარეობის, ასაკობრივი პროფილის, ხანდაზმულობის და წარსული ფინანსური სირთულეების არსებობის გათვალისწინებით. სავაჭრო მოთხოვნები და სახელშეკრულებო აქტივები უკავშირდება კომპანიის კლიენტებს.

კომპანია სავაჭრო მოთხოვნებსა და სახელშეკრულებო აქტივებთან მიმართებაში არ მოითხოვს უზრუნველყოფას.

კომპანია ადგენს გაუფასურების რეზერვს, რომელიც წარმოადგენს მოსალოდნელი ზარალის მისეულ შეფასებას სავაჭრო მოთხოვნებთან და სახელშეკრულებო აქტივებთან მიმართებაში.

„კომპანიის“ სამი უმსხვილესი კლიენტის სავაჭრო მოთხოვნების და სახელშეკრულებო აქტივების საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრისთვის 11,852 ათას ლარს შეადგენს (2019 წლის 31 დეკემბრისთვის: 4,658 ათასი ლარი), რაც მთლიანი სავაჭრო მოთხოვნების და სახელშეკრულებო აქტივების 93%-ია (2019 წლის 31 დეკემბრისთვის: 99%).

მაქსიმალური საკრედიტო რისკი სავაჭრო მოთხოვნებთან და სახელშეკრულებო აქტივებთან მიმართებაში საანგარიშგებო თარიღისთვის, გეოგრაფიული რეგიონების მიხედვით იყო შემდეგი:

	საბალანსო ღირებულება	
	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
'000 ლარი		
ადგილობრივი	9,238	4,087
სხვა	3,149	463
	12,387	4,550

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

კომპანია მის საკრედიტო რისკის ხარისხზე დაქვემდებარებას ანაწილებს ზარალის რისკის განსაზღვრელი მონაცემების (გარე რეიტინგები, აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება, მმართველობითი ანგარიშები და ფულადი ნაკადების პროგნოზები და ხელმისაწვდომი პრეს-ინფორმაცია კლიენტებზე და სხვა), და გამოცდილი საკრედიტო განსჯის გამოყენების საფუძველზე. საკრედიტო რისკის ხარისხები განისაზღვრება ხარისხობრივი და რაოდენობრივი ფაქტორების გამოყენებით, რომლებიც მიანიშნებს დეფოლტის რისკზე და შესაბამისობაშია სააგენტოების გარე საკრედიტო შეფასების განმარტებებთან, მაგალითად Fitch-ის სარეიტინგო სააგენტო, შესაბამისობის შემთხვევაში.

შემდეგი ცხრილი ასახავს ინფორმაციას საკრედიტო რისკზე დაქვემდებარებაზე და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე სავაჭრო მოთხოვნებისთვის და სახელშეკრულებო აქტივებისთვის, 2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ბრუტო 31 დეკემბერი 2020	ანარიცხი 31 დეკემბერი 2020	ბრუტო 31 დეკემბერი 2019	ანარიცხი 31 დეკემბერი 2019
'000 ლარი				
არა ვადაგადაცილებული და არა გაუფასურებული	7,039	(20)	1,242	(59)
0-90 დღემდე ვადაგადაცილება	2,328	(13)	2,360	(102)
90 დღეზე მეტი	3,531	(478)	1,156	(47)
	12,898	(511)	4,758	(208)

ზარალის რეზერვი ფინანსური აქტივებისთვის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე არის დაფუძნებული. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი მოსალოდნელ აღდგენად ოდენობას და ხელშეკრულების მიხედვით გადასახდელ ოდენობას შორის სხვაობის მიმდინარე ღირებულებას წარმოადგენს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება მოიცავს მოსალოდნელ შეგროვების ოდენობას და შეგროვების ვადებს. თუ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება მოსალოდნელია სრულად, მაგრამ გვიან, აღნიშნული ასევე გამოიწვევს საკრედიტო ზარალს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლისას, კომპანია იყენებს საკუთარ სარეიტინგო სისტემას, რომელიც შიდა პოლიტიკებიდან არის მიღებული. თითოეული კლიენტი ფასდება საკრედიტო რეიტინგის მიხედვით, რომელიც ვადაგადაცილებულ გადახდებზე არის დაფუძნებული. მოთხოვნების ნაშთი არ არის უზრუნველყოფილი და შესაბამისად, ზარალი დეფოლტის შემთხვევაში, პოტენციური აღდგენის ვარიანტების მიღებით განისაზღვრება. მოდელის მიხედვით გაკეთებული დაშვებები (შესაძლო ვარიანტების ალბათობა, თითოეული ვარიანტის რეალიზაციის ვადები, აღდგენის მოსალოდნელი ოდენობა და ა.შ.) ეფუძნება ექსპერტის მსჯელობას და კლიენტის ბიზნეს გაგებას. ძირითადი კლიენტების ფინანსური ინფორმაცია საჯაროდ არის ხელმისაწვდომი, და ზემოაღნიშნული ვარიანტების მომზადებისას კომპანია უზრუნველყოფს რომ ყველა ძირითად მევალეს კარგი ფულადი სახსრების მდგომარეობა ჰქონდეს. კომპანიას გრძელვადიანი შრომითი ურთიერთობების გამოცდილება აკავშირებს ყველა ძირითად კლიენტთან და გადახდების გადავადება ჩვეულ პრაქტიკას წარმოადგენს. კომპანიამ ყველა ეს მონაცემი ზემოაღნიშნულ ცხრილში წარმოდგენილ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვში შეიტანა.

გაუფასურების რეზერვის მოძრაობა სავაჭრო მოთხოვნებთან და სახელშეკრულებო აქტივებთან მიმართებაში

მოძრაობა გაუფასურების რეზერვში სავაჭრო მოთხოვნებთან და სახელშეკრულებო აქტივებთან მიმართებაში წლის განმავლობაში, იყო შემდეგი:

'000 ლარი	ინდივიდუალური გაუფასურება	ინდივიდუალური გაუფასურება
	2020	2019
ნაშთი წლის დასაწყისში	208	1,218
წმინდა დარიცხვა/(აღდგენა) წლის განმავლობაში	303	(1,010)
ნაშთი წლის ბოლოს	511	208

ბანკში არსებული ნაშთები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საქართველოს ბანკებშია განთავსებული, რომელთა მოკლევადიანი ემიტენტის დეფოლტ რეიტინგი, Fitch რეიტინგის საფუძველზე არის B. კომპანია არ მოელის, რომ რომელიმე კონტრაგენტი ვერ შეძლებს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დაკმაყოფილებას.

გაუფასურება ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე ფასდება 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე და ასახავს დაქვემდებარების მოკლე ვადიანობას. კომპანია მიიჩნევს, რომ მის ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი, მისი კონტრაგენტების გარე საკრედიტო რეიტინგებზე დაყრდნობით.

(iii) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის ისეთი რისკი, რომლის დროსაც კომპანიას არ შეუძლია ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების დაკმაყოფილება, მათი დაფარვის ვადის დადგომისას. ლიკვიდურობის მართვისადმი კომპანიის მიდგომა განსაზღვრულია იმის უზრუნველსაყოფად, რომ შესაძლებლობის ფარგლებში მას ყოველთვის ჰქონდეს სათანადო ლიკვიდურობა ვალდებულების ვადაში დასაფარად, როგორც ჩვეულებრივ, ასევე კრიზისულ გარემოებებში, მიუღებელი ზარალის გაწევის ან კომპანიის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების გარეშე.

ლიკვიდურობის რისკზე დაქვემდებარება

ქვემოთ მოცემულია საანგარიშგებო თარიღებისთვის ფინანსური ვალდებულებების ნარჩენი სახელშეკრულებო ვადიანობა. თანხები ბრუტო ფორმით და დისკონტირების გარეშეა წარმოდგენილი და მოიცავს სავარაუდო საპროცენტო გადახდებს:

31 დეკემბერი 2020

'000 ლარი	საბალანსო დირებულება	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები		
		სულ	1 წელზე ნაკლები	1-5 წლამდე
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,307	5,307	5,307	-
საიჯარო ვალდებულებები	1,013	1,135	383	752
	6,320	6,442	5,690	752

31 დეკემბერი 2019

'000 ლარი	საბალანსო დირებულება	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები		
		სულ	1 წელზე ნაკლები	1-5 წლამდე
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,445	5,445	5,445	-
საიჯარო ვალდებულებები	1,130	1,351	331	1,020
	6,575	6,796	5,776	1,020

მოსალოდნელი არ არის, რომ ვადიანობის ანალიზში შემავალი ფულადი ნაკადები შესაძლოა წარმოიშვას მნიშვნელოვნად უფრო ადრე, ან მნიშვნელოვნად განსხვავებული ოდენობებით.

(iv) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს სავალუტო გაცვლით კურსების, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ფასების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის შემოსავლებზე ან მის ხელთ არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

კომპანია არ იყენებს ჰეჯირების ანგარიშგებას მოგებასა თუ ზარალში მერყეობის მართვის მიზნით.

სავალუტო რისკი

კომპანია ექვემდებარება სავალუტო რისკს იმდენად რამდენადაც არსებობს შეუსაბამობა იმ ვალუტებს შორის, რომლებშიც დენომინირებულია გაყიდვები, შესყიდვები და კრედიტები და კომპანიის სამუშაო ვალუტას შორის.

კომპანიის სამუშაო ვალუტა არის ქართული ლარი. ვალუტა, რომელშიც ძირითადად დენომინირებულია ეს ოპერაციები არის აშშ დოლარი.

სავალუტო რისკზე დაქვემდებარება

კომპანიის დაქვემდებარება უცხოურ სავალუტო რისკზე იყო შემდეგი:

'000 ლარი	აშშ დოლარში დენომინირებული 31 დეკემბერი 2020	ევროში დენომინირებული 31 დეკემბერი 2020	აშშ დოლარში დენომინირებული 31 დეკემბერი 2019	აშშ დოლარში დენომინირებული 31 დეკემბერი 2019
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	615	1,011	501	836
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8,067	2,232	2,830	439
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(4,274)	(171)	(4,479)	(421)
საიჯარო ვალდებულება	(1,013)	-	(1,130)	-
წმინდა დაქვემდებარება	3,395	3,072	(2,278)	854

წლის განმავლობაში გამოიყენებოდა შემდეგი გაცვლითი კურსები:

ლარში	საშუალო განაკვეთი		საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული განაკვეთი	
	2020	2019	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
აშშ დოლარი	3.1097	2.8192	3.2766	2.8677
ევრო	3.5519	3.1553	4.0233	3.2095

2020 წლის 31 დეკემბერს და 2019 წლის 31 დეკემბერს, ლარის კურსის ცვლილება ყველა სხვა ვალუტასთან მიმართებაში იმოქმედებდა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და მოგებაზე/(ზარალზე) ქვემოთ ნაჩვენები ოდენობებით. ანალიზი გაკეთდა იმ დაშვების საფუძველზე, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ საპროცენტო განაკვეთები, უცვლელი დარჩებოდა და გამორიცხავს საპროგნოზო გაყიდვების და შესყიდვების ნებისმიერ გავლენას.

მგრძნობელობის ანალიზი

2020 წლის 31 დეკემბრისთვის და 2019 წლის 31 დეკემბრისთვის, ლარის კურსის გონივრული შესაძლო გამყარება/(შესუსტება), ქვემოთ მოცემულის შესაბამისად, აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებაში იმოქმედებდა აშშ დოლარში და ევროში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და მოგებაზე ან ზარალზე (დაბეგვრამდე) ქვემოთ წარმოდგენილი ოდენობებით. ვალუტის მოძრაობას არ ექნება პირდაპირი გავლენა სხვა სრულ შემოსავალზე ან კაპიტალზე. ანალიზი გაკეთდა იმ დაშვების საფუძველზე, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ საპროცენტო განაკვეთები, უცვლელი დარჩებოდა და გამორიცხავს საპროგნოზო გაყიდვების და შესყიდვების ნებისმიერ გავლენას.

'000 ლარი	მოგება ან ზარალი	
	ლარის გამყარება	ლარის შესუსტება
31 დეკემბერი 2020		
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	(340)	340
ევრო (10%-იანი მოძრაობა)	(307)	307
31 დეკემბერი 2019		
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	228	(228)
ევრო (10%-იანი მოძრაობა)	(85)	85

(v) საპროცენტო განაკვეთის რისკი

კომპანია არ აღრიცხავს ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსურ ინსტრუმენტს სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, ან როგორც გასაყიდად გამიზნულს. შესაბამისად, საანგარიშგებო თარიღისთვის, საპროცენტო განაკვეთის ცვლილება ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენდა მოგებაზე ან ზარალზე ან კაპიტალზე.

17. პირობითი ვალდებულებები

(a) დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების პროცესშია და მსოფლიოს სხვა ნაწილებში მოქმედი სადაზღვევო დაცვის მრავალი ფორმა ჯერ ხელმისაწვდომი არ არის. კომპანიას არ აქვს სრული სადაზღვევო ანაზღაურება მისი საქმიანობის შეწყვეტის ან მესამე პირის ვალდებულებებზე ქონების ან გარემოს დაზიანებასთან მიმართებაში, რომელიც წარმოიშვება კომპანიის ქონებასთან ან მის ოპერაციებთან დაკავშირებული უბედური შემთხვევებიდან. სანამ არ მოხდება კომპანიის სათანადოდ დაზღვევა, იარსებებს რისკი იმისა, რომ ზარალი ან კონკრეტული აქტივების დაზიანება არსებით უარყოფით გავლენას იქონიებს კომპანიის საოპერაციო და ფინანსურ მდგომარეობაზე.

(b) პირობითი საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ ბუნდოვანი და ურთიერთგამომრიცხავია და ერთმანეთისგან განსხვავებული ინტერპრეტაციების საშუალებას იძლევა. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია დააკისროს არანაირი დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან სამი წელია გასული.

ეს ვითარება ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც, სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში გაცილებით უფრო საგრძნობია. ხელმძღვანელობა თვლის, რომ საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურია მოქმედი საგადასახადო კოდექსის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციისა. თუმცა, საგადასახადო ორგანოების მიერ აღნიშნული კანონების ინტერპრეტირება შეიძლება განსხვავდებოდეს ფონდისეული ინტერპრეტაციისაგან და მათ მნიშვნელოვანი გავლენა იქონიონ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე, თუ საგადასახადო ორგანო შესძლებს საკუთარი ინტერპრეტირების არგუმენტირებას.

18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

(a) მშობელი კომპანია და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე

„კომპანიის“ პირდაპირი მშობელი კომპანიაა „Huawei Technologies Cooperatief U.A.“. კომპანიის საბოლოო მშობელი კომპანია და საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა „Huawei Investment & Holding Co., Ltd“, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონმდებლობის ქვეშ რეგისტრირებული იურიდიული პირი.

კომპანიის პირდაპირი მშობელი კომპანია არ გამოსცემს საჯაროდ ხელმისაწვდომ ფინანსურ ანგარიშგებას. მომდევნო უმაღლესი მშობელი კომპანია, რომელიც გამოსცემს საჯაროდ ხელმისაწვდომ ფინანსურ ანგარიშგებას არის „Huawei Investment & Holding Co., Ltd“.

(b) წამყვანი ხელმძღვანელობის ანაზღაურება

წამყვანმა ხელმძღვანელობამ წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება:

'000 ლარი	2020	2019
ხელფასები და ბონუსები	251	302

(c) ოპერაციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან

'000 ლარი	გარიგების ღირებულება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის		ნაშთი	
			2020 წლის 31 დეკემბრის	2019 წლის 31 დეკემბრის
	2020	2019		
სასესხო მოთხოვნები:				
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმო	-	(869)	-	-
საქონლისა და მომსახურების შესყიდვა:				
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები	2,086	1,628	4,280	4,467
საქონლისა და მომსახურების გაყიდვა:				
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები	3,418	1,504	3,149	483

2019 წლამდე კომპანია იხდიდა როიალტის საფასურს. როიალტი უნდა იქნას გადახდილი „Huawei Technologies Co., Ltd“-ისთან გაფორმებული ინტელექტუალური ქონების სალიცენზიო ხელშეკრულების შესაბამისად. სალიცენზიო ხელშეკრულების თანახმად, „კომპანიამ“ უნდა გადაიხადოს როიალტი პროგრამული უზრუნველყოფის განახლებიდან და ტექნიკური

მხარდაჭერის მომსახურებიდან და პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაციის მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის 7,5%-ის ოდენობით, თითოეული სააღრიცხვო პერიოდისთვის. თუმცა, კომპანიას არ დაერიცხა როიალტის საფასური 2020 წლის 31 დეკემბრით და 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის, რადგან ზემოაღნიშნული ხელშეკრულების პირობების მიხედვით, დარიცხვა არ არის აუცილებელი თუ როიალტის საფასური იწვევს უარყოფით საოპერაციო მარჟას აღნიშნული წლისთვის. როიალტი შეიძლება გახდეს გადასახდელი მომავალი პერიოდებისთვის თუ ყველა პირობა იქნება დაკმაყოფილებული.

ყველა დაუფარავი ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან, უნდა იქნეს დაფარული ფულადი სახსრებით საანგარიშგებო თარიღიდან 6 თვის განმავლობაში.

19. შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო თარიღის შემდეგ არსებითი მოვლენები არ გამოვლენილა.

20. შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

21. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

ქვემოთ წარმოდგენილი სააღრიცხვო პოლიტიკები თანმიმდევრულად გამოიყენებოდა წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში, და თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული კომპანიის მიერ.

(a) შემოსავალი

ინფორმაცია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკებზე რომლებიც კლიენტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს უკავშირდება წარმოდგენილია შენიშვნაში 5(d).

(b) ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

კომპანიის ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები მოიცავს:

- საპროცენტო ხარჯი;
- საპროცენტო შემოსავალი სასესხო მოთხოვნებზე;
- უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეული შემოსულობა ან ზარალი ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებზე;

საპროცენტო შემოსავლის ან ხარჯის აღიარება ხდება ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

„ეფექტური საპროცენტო განაკვეთი“ არის განაკვეთი რომელიც ზუსტად ადისკონტირებს სავარაუდო სამომავლო ფულად გადახდებს ან შემოსულობებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის მიხედვით:

- ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე; ან
- ფინანსური ვალდებულების ამორტიზირებულ ღირებულებაზე;

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის გამოთვლისას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გამოიყენება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე (როდესაც აქტივი არ არის გაუფასურებული კრედიტით) ან ვალდებულების ამორტიზირებულ ღირებულებაზე. თუმცა, ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც თავდაპირველი აღიარების შემდგომ გაუფასურდა კრედიტით, საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ფინანსური აქტივის ამორტიზირებულ ღირებულებაზე გამოყენებით. თუ აქტივი აღარ არის კრედიტით გაუფასურებული, მაშინ საპროცენტო შემოსავალს გამოთვლა უბრუნდება მთლიან საბალანსო ღირებულებაზე დათვლის მეთოდს.

უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული სარგებელი ან ზარალი წარმოდგენილია წმინდა საფუძველზე, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, რაც დამოკიდებულია იმ ფაქტზე, წარმოდგენილია თუ არა უცხოური ვალუტის მოძრაობა წმინდა მოგების ან წმინდა ზარალის პოზიციაში.

(c) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტაში ოპერაციების თარიღის შესაბამისი გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება სამუშაო ვალუტაში ხდება საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ამონაგები ან ზარალი ფულად მუხლებზე წარმოადგენს პერიოდის დასაწყისში არსებული საპროცენტო განაკვეთით და პერიოდის განმავლობაში განხორციელებული გადახდებით დაკორექტირებული, მოქმედი ვალუტის ამორტიზირებადი ღირებულებისა და პერიოდის ბოლოს არსებული, შესაბამისი გაცვლითი კურსით დაკორექტირებული, უცხოურ ვალუტაში გამოსახული ამორტიზირებადი ღირებულების სხვაობას.

უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეული სხვაობა აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(d) თანამშრომელთა მოკლევადიანი სარგებელი

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე და ხარჯად აღიარდება შესაბამისი მომსახურების გაწევისთანავე. ვალდებულება აღიარდება იმ ოდენობით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია თუ კომპანიას ექნება მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება გადაიხადოს ეს თანხა დაქირავებული პირის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების შედეგად და როდესაც ამგვარი ვალდებულება საიმედოდ შეიძლება იყოს შეფასებული.

(e) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირდება კაპიტალის სახით.

(f) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს. მიმდინარე და გადავადებული გადასახადები აღიარდება მოგებაში ან ზარალში გარდა შემთხვევისა, როდესაც ის უკავშირდება საწარმოთა შერწყმას, ან პირდაპირ კაპიტალში ან სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ ერთეულებს.

(i) მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადის ხარჯი არის აღნიშნული წლის დასაბეგრი მოგების ან ზარალის საფუძველზე წარმოქმნილი მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება ან მოთხოვნა, იმ საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია ან არსებითად ამოქმედებულია ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის. მიმდინარე გადასახადის ხარჯი ასევე მოიცავს წინა წლების საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერ კორექტირებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ასევე მოიცავს დივიდენდებიდან წარმოშობილ ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წელს და გამოიყენება საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2023 წლის 1 იანვრიდან.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან (CIT) გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. ძირითად დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას (DE), როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. თუმცა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა განაწილებულ მოგებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის. ამასთან საგადასახადო ობიექტი მოიცავს ხარჯებს და სხვა ვალდებულებებს, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებები და ზღვარს გადაცდნისი წარმომადგენლობითი ხარჯები.

საგადასახადო ანაზღაურება ხელმისაწვდომია გადახდილ მიმდინარე გადასახადზე 2008-2016 წლების გაუნაწილებელ მოგებაზე, თუ ასეთი მოგება განაწილდება 2017 ან შემდეგ წლებში.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯის სახით იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად გადახდის ფაქტობრივი თარიღისა ან იმ პერიოდისა, რომლისთვისაც გადაიხდება დივიდენდები.

(ii) გადავადებული გადასახადი

ზემოთ აღწერილი ახალი საგადასახადო სისტემის ხასიათიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებული საწარმოები არ განასხვავებენ აქტივების საგადასახადო საფუძვლებს და მათ საბალანსო ღირებულებებს და, შესაბამისად, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ წარმოიშვება.

წინა პერიოდებში გაწეული საგადასახადო ზარალი არ გამოიყენება მომავალ დაბეგვრად მოგებებთან მიმართებაში.

(გ) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებების ერთეულები შეფასებულია, როგორც თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

აქტივის თვითღირებულება მოიცავს მის შეძენასთან დაკავშირებულ პირდაპირ დანახარჯებს. საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივის თვითღირებულება შედგება მასალების, შრომითი და ნებისმიერი პირდაპირი დანახარჯებისგან, რომელიც საჭიროა აქტივის დანიშნულებისამებრ მუშა მდგომარეობაში მოსაყვანად, აგრეთვე სესხის ღირებულების კაპიტალიზაციის, აქტივის დემონტაჟის, მოცილების და გამწმენდი სამუშაოების ჩატარების ღირებულებას. შეძენილი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც აღჭურვილობის ფუნქციონალურად განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, კაპიტალიზდება ძირითადი საშუალების ღირებულების ნაწილის სახით.

თუ ძირითადი საშუალების ნაწილებს სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, ისინი აღირიცხება ძირითადი საშუალების ცალკე ერთეულების სახით (ძირითადი კომპონენტები).

ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი განისაზღვრება, როგორც ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებულ ამონაგებსა და ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და აღიარდება წმინდად მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში როგორც სხვა შემოსავლები ან სხვა ხარჯები.

(ii) შემდგომი დანახარჯები

ძირითადი საშუალებების ნაწილის შეცვლის ღირებულება აისახება ერთეულის საბალანსო ღირებულებაზე, თუ იგი უზრუნველყოფს აქტივში განივთებული, მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოსვლას კომპანიაში და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. გამოცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მოვლა-შენახვის ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

(iii) ცვეთა

ძირითადი საშუალებების ერთეულები ექვემდებარებიან ცვეთის დარიცხვას მათი დამონტაჟებისა და მზადმყოფ მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან, ხოლო შიდა ძალებით დამზადებული აქტივები - მათი სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან. ცვეთა ანგარიშდება აქტივის თვითღირებულებიდან, რომელსაც გამოკლებული აქვს მისი ნარჩენი ღირებულება. 2020 წლის 1 იანვრიდან, კომპანიამ დააწესა 5% ნარჩენი ღირებულება ყველა ძირითადი საშუალებისთვის.

ცვეთა, აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული, მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოსალოდნელ ნიმუშს. იჯარით აღებულ აქტივებს ცვეთა ერიცხება საიჯარო ვადასა და მათ სასარგებლო მომსახურების ვადას შორის უმცირესის მიხედვით, გარდა შემთხვევებისა როდესაც გონივრულად სარწმუნოა, რომ კომპანია, საიჯარო ვადის ბოლოს მოიპოვებს აქტივზე მფლობელობას.

მნიშვნელოვანი ძირითადი საშუალებების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადა მიმდინარე და შესადარის პერიოდში, შემდეგია:

– მანქანა-დანადგარები	10 წელი;
– სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი;
– ელექტრონული მოწყობილობები	3 წელი;
– აქტივები გამოყენების უფლებით	5 წელი;
– სხვა	5 წელი.

ცვეთის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაიხედება და, შესაბამის შემთხვევაში კორექტირდება.

(h) ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია იყენებს ფასს 9 ფინანსურ ინსტრუმენტებს, ფინანსური აქტივების, ფინანსური ვალდებულებებისა და სხვა არაფინანსური აქტივების ყიდვა - გაყიდვის ხელშეკრულებების აღრიცხვისა და შეფასებისათვის.

(i) აღიარება და თავდაპირველი შეფასება

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება მათი წარმოშობის თარიღში.

ყველა სხვა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება ვაჭრობის თარიღში, როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებების მხარე. ფინანსური აქტივი (თუ ის არ არის სავაჭრო მოთხოვნა მნიშვნელოვანი ფინანსური კომპონენტის გარეშე) ან ფინანსური ვალდებულება (თუ სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებულ ერთეულს არ წარმოადგენს) საწყის ეტაპზე აღირიცხება სამართლიან ღირებულებას დამატებული მის შემენასთან ან გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული გარიგების განხორციელების ხარჯები. სავაჭრო მოთხოვნა მნიშვნელოვანი ფინანსური კომპონენტის გარეშე თავდაპირველად აღირიცხება გარიგების ფასით.

(ii) ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

პირველადი აღიარებისას, ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება ისევე როგორც აღირიცხება: ამორტიზირებული ღირებულებით; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - ვალის ინვესტიცია; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - კაპიტალის ინვესტიცია; ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

პირველადი აღიარების შემდგომ ფინანსური აქტივები არ ექვემდებარება რეკლასიფიკაციას, მანამ სანამ კომპანია არ შეცვლის ფინანსური აქტივების აღრიცხვის ბიზნეს მოდელს, რა შემთხვევაშიც ყველა ჩართული ფინანსური აქტივი რეკლასიფიცირებულია ბიზნეს მოდელის ცვლილების შემდგომ პირველი სააღრიცხვო პერიოდის პირველივე დღეს.

ფინანსური აქტივი აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოყვანილ ორივე პირობას და არ არის გამიზნული როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს რომლის მიზანიც არის აქტივების შენახვა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შესაგროვებლად; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს რომელიც მხოლოდ ძირითადი თანხისა და დაუფარავ ძირითადი დაგროვილი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

ვალის ინვესტიცია შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ ორივე პირობას და არ არის გამიზნული როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს რომლის მიზანიც არის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება და ფინანსური აქტივების გაყიდვა; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს რომელიც მხოლოდ ძირითადი თანხისა და დაუფარავ ძირითადი დაგროვილი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

იმ კაპიტალის ინვესტიციის თავდაპირველი აღიარებისას, რომელიც არ არის სავაჭროდ გამიზნული, კომპანიამ შეიძლება შეუქცევად აირჩიოს ინვესტიციის სამართლიანი ღირებულების შემდგომი ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვა. ეს არჩევანი კეთდება თითოეული ინვესტიციის დონეზე.

ყველა ფინანსური აქტივი რომელიც არ კლასიფიცირდება ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანიას შეუძლია შეუქცევად აირჩიოს ფინანსური აქტივის, რომელიც სხვაგვარად აკმაყოფილებს მოთხოვნებს, ამორტიზირებული ღირებულებით შეფასება, ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასება, თუ აღნიშნული აღმოჩენის ან არსებითად ამცირებს სააღრიცხვო შეუსაბამობას რომელიც სხვაგვარად წარმოიშვებოდა.

კომპანიის ფინანსური აქტივები მოიცავს სასესხო მოთხოვნებს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს და არის კლასიფიცირებული ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების კატეგორიაში. ეს აქტივები შემდგომში შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. ამორტიზირებული ღირებულება შემცირებულია გაუფასურების ზარალით. საპროცენტო შემოსავალი, საკურსო სხვაობით გამოწვეული ამონაგები და ზარალი და გაუფასურება აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ამონაგები ან ზარალი აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებს, რომელთა დაფარვის ვადა არის სამი თვე ან ნაკლები შემენის თარიღიდან. მათი სამართლიანი ღირებულების ცვლილების რისკი დაბალია.

(iii) ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება ისევე როგორც აღირიცხება - ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით თუ ის არის სავაჭროდ გამიზნული, წარმოებულია ან გამიზნულია ესეთად პირველადი აღიარებისას. სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები ფასდება სამართლიანი ღირებულებით და წმინდა ამონაგებით და ზარალით, ნებისმიერი საპროცენტო ხარჯის ჩათვლით, და აღიარებულია მოგებაში ან ზარალში (გარდა სამართლიანი ღირებულების ცვლილების იმ ნაწილისა რომელიც გამოწვეულია კომპანიის საკუთარი საკრედიტო რისკის ცვლილებით, რომელიც აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში). სხვა ფინანსური ვალდებულებები შემდგომ ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი და უცხოური გაცვლითი კურსიდან მიღებული ამონაგები და ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ამონაგები ან ზარალი ასევე აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში.

კომპანიას აფასებს მის ყველა ფინანსურ ვალდებულებას ამორტიზირებული ღირებულებით.

(iv) ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ცვლილება

ფინანსური აქტივები

თუ ფინანსური აქტივის პირობები იცვლება, კომპანიამ უნდა შეაფასოს არსებითად იცვლება თუარა შეცვლილი აქტივისგან წარმოშობილი ფულადი ნაკადები. თუ ფულად ნაკადებში არსებითი ცვლილებაა (ეგრეთ წოდებული „არსებითი ცვლილება“), მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შემთხვევაში, თავდაპირველი ფინანსური აქტივის აღიარება წყდება და ახალი ფინანსური აქტივი აღიარდება სამართლიანი ღირებულებით.

კომპანია ახორციელებს მოცემული ცვლილების არსებითობის რაოდენობრივ და ხარისხობრივ შეფასებას, ანუ არსებითად განსხვავდება თუარა საწყისი ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადები შეცვლილი ან ჩანაცვლებული ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადებისგან. კომპანია აფასებს არსებითია თუარა ცვლილება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით, მოცემული თანმიმდევრობით: ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობრივი მაჩვენებლები, ორივე ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლის საერთო გავლენა. თუ ფულადი ნაკადები არსებითად განსხვავდება, მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შეფასების გაკეთების დროს კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის დროს გამოყენებული პრინციპების ანალოგიური პრინციპებით ხელმძღვანელობს.

კომპანია ასკვნის, რომ ცვლილება არსებითია შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ცვლილება ფინანსური აქტივის ვალუტაში;
- ცვლილება უზრუნველყოფაში ან სხვა საკრედიტო პირობებში;
- ცვლილება ფინანსური აქტივის პირობებში, რომლებიც იწვევს SPPI კრიტერიუმთან შეუსაბამობას (ანუ კონვერტაციის ფუნქციის დამატება).

თუ ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული შეცვლილი აქტივისგან მიღებული ფულადი ნაკადები, არ არის არსებითად შეცვლილი, მაშინ ცვლილების შედეგად ფინანსური აქტივის აღიარება არ წყდება. ამ შემთხვევაში, კომპანია ხელახლა ანგარიშობს ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას და მთლიანი საბალანსო ღირებულების კორექტირებისას წარმოქმნილ თანხას აღრიცხავს როგორც ცვლილების შედეგად მიღებულ ამონაგებს ან ზარალს მოგებაში ან ზარალში. ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ხელახლა ითვლება როგორც შეცვლილი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება, რომელიც დისკონტირდება ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საფასური აკორექტირებს შეცვლილი ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებას და არის ამორტიზირებული შეცვლილი ფინანსური აქტივის ნარჩენი მოხმარების ვადის განმავლობაში.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როდესაც იცვლება მისი პირობები და არსებითად განსხვავდება შეცვლილი ფინანსური ვალდებულებისგან მიღებული ფულადი ნაკადები. ამ შემთხვევაში, ახალი შეცვლილ პირობებზე დაფუძნებული ფინანსური ვალდებულება აღიარდება სამართლიანი ღირებულებით. სხვაობა აღიარებაშეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და ახალ შეცვლილ პირობებიან ფინანსურ ვალდებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ ცვლილება (ან გაცვლა) არ იწვევს ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტას კომპანია იყენებს ფინანსური აქტივის სრული საბალანსო ღირებულების კორექტირებისას გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკას. როდესაც ცვლილება არ იწვევს ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტას კომპანია აღიარებს ესეთი ცვლილებიდან (ან გაცვლიდან) წარმოშობილ, ფინანსური ვალდებულების ამორტიზირებული ღირებულების ნებისმიერ კორექტირებას, მოგებაში ან ზარალში, ცვლილების (გაცვლის) თარიღში.

ცვლილებები არსებული ფინანსური ვალდებულებების ფულად ნაკადებში არ მიიჩნევა კორექტირებად, თუ ისინი წარმოიშვა არსებული სახელშეკრულებო პირობებიდან, მაგალითად ბანკის მიერ განხორციელებული ცვლილებები ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთში სებ-ს მიერ გაკეთებული საკვანძო განაკვეთების ცვლილების გამო, თუ სასესხო ხელშეკრულება აძლევს ბანკს ამის საშუალებას და კომპანიას აქვს საშუალება მიიღოს შეცვლილი განაკვეთი ან მოითხოვოს სესხის ძველ პირობებზე დატოვება ჯარიმის გადახდის გარეშე. საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისას არსებული საბაზრო განაკვეთის შესაბამისად, კომპანია ხელმძღვანელობს მცოცავი საპროცენტო განაკვეთის ფინანსური ინსტრუმენტებით. ეს ნიშნავს, რომ შესაბამისად იცვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთიც.

კომპანია აფასებს არსებითია თუ არა ცვლილება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით: ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობრივი მაჩვენებლები, ორივე ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების საერთო გავლენა. კომპანია ასკვნის, რომ ცვლილება არსებითია შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ცვლილება ფინანსური ვალდებულების ვალუტაში;
- ცვლილება უზრუნველყოფაში ან სხვა საკრედიტო პირობებში;
- კონვერტაციის შესაძლებლობის დამატება;
- ცვლილება ფინანსური ვალდებულების სუბორდინაციაში.

რაოდენობრივი შეფასებისას მნიშვნელოვნად იცვლება პირობები თუ ახალი პირობების მიხედვით ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულება, წმინდად გადახდილი თანხების (დისკონტირებული თავდაპირველი საპროცენტო განაკვეთით) ჩათვლით, მინიმუმ 10%-ით განსხვავდება საწყისი ფინანსური ვალდებულებიდან წარმოქმნილი ნარჩენი ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულებისგან. თუ ვალის ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების ცვლილება მიჩნეულია ვალის განულებად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან გადასახადი აღიარებულია ვალის განულებიდან მიღებულ მოგებასა ან ზარალში. თუ გაცვლა ან ცვლილება არ არის მიჩნეული ვალის განულებად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან გადასახადი აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზირებულია შეცვლილი ვალდებულების ნარჩენი მოხმარების ვადის განმავლობაში.

(v) აღირების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც ფინანსური აქტივიდან მიღებულ სახელშეკრულებო უფლებებს ფულად ნაკადებზე გასდის ვადა, ან ის გადასცემს გარიგებიდან მისაღებ სახელშეკრულებო უფლებებს, გარიგებაში რომელშიც ფინანსური აქტივის ფლობის თითქმის ყველა რისკი და ანაზღაურება არის გადაცემული, ან როდესაც კომპანია არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკებს და ანაზღაურებებს და კომპანია არ ინარჩუნებს ფინანსურ აქტივზე უფლებებს.

კომპანია დებს გარიგებებს, რომლითაც ის გადასცემს მისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულ აქტივებს, მაგრამ ინარჩუნებს გადაცემულ აქტივებთან დაკავშირებულ ყველა ან თითქმის ყველა რისკს და ანაზღაურებას. ასეთ შემთხვევებში, გადაცემული აქტივების აღიარება არ წყდება.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როდესაც მის სახელშეკრულებო ვალდებულებები დაკმაყოფილებულია, უქმდება ან ვადა გასდის. კომპანია ასევე წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როცა მისი პირობები იცვლება და შეცვლილი ფინანსური ვალდებულებიდან მიღებული ფულადი ნაკადები მნიშვნელოვნად იცვლება, რა შემთხვევაშიც კორექტირებულ პირობებზე დაფუძნებული ახალი ფინანსური ვალდებულება აღიარდება მისი სამართლიანი ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას, გაუქმებულ საბალანსო ღირებულებას შორის და გადახდილ თანხას შორის სხვაობა (ნებისმიერი არაფულადი აქტივების და ვალდებულებების გადაცემის ჩათვლით) აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(vi) ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები შეიძლება იყოს ურთიერთგადაფარული და წმინდა ოდენობა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ როდესაც კომპანიას აქვს იურიდიული აღსრულების უფლება, რომ ურთიერთგაქვითოს ეს ოდენობები და ის აპირებს მათ დაკმაყოფილებას წმინდა თანხის საფუძველზე ან აქტივის გაყიდვით

იმავდროულად დააკმაყოფილოს ვალდებულება. კომპანიას ამჟამად აქვს ურთიერთგაქვითვის იურიდიული აღსრულების უფლება რომელიც არ არის დამოკიდებული მომავალ მოვლენაზე და აღსრულებადია როგორც საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას ასევე კომპანიის და მისი ყველა კონტრაგენტების დეფოლტის, გადახდისუუნარობის ან გაკოტრების შემთხვევაში.

(i) გაუფასურება

(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები

ფინანსური ინსტრუმენტები და სახელშეკრულებო აქტივები

კომპანია აღიარებს ზარალის რეზერვებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის:

- ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე;
- სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებულ სასესხო ინვესტიციებზე; და
- სახელშეკრულებო აქტივებზე.

კომპანია აღრიცხავს ზარალის რეზერვებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით, შემდეგი შემთხვევების გარდა, როდესაც აღირიცხება 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით:

- სასესხო ფასიანი ქაღალდები, რომლებსაც სააღრიცხვო თარიღისთვის აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი; და
- სხვა სასესხო ფასიანი ქაღალდები და საბანკო ნაშთები რომელთათვისაც საკრედიტო რისკი (ანუ ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში დეფოლტის ალბათობა) არსებითად არ გაზრდილა თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

ზარალის რეზერვები სავაჭრო მოთხოვნებზე და სახელშეკრულებო აქტივებზე ყოველთვის ფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლი ოდენობით.

ფინანსურ აქტივზე თავდაპირველად აღიარებული საკრედიტო რისკის არსებითი ზრდის დასადგენად და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენისას, კომპანია ითვალისწინებს გონივრულ და დამხმარე ინფორმაციას რომელიც შესაბამისია და ხელმისაწვდომი დამატებითი ხარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე. ეს მოიცავს როგორც ხარისხობრივ ისე რაოდენობრივ ინფორმაციას და ანალიზს, კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ინფორმირებული საკრედიტო შეფასების და წინდახედულობის პრინციპის გათვალისწინებით.

კომპანია ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდად მიიჩნევს როდესაც მას 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილება აქვს.

კომპანია ფინანსურ აქტივს მიიჩნევს დეფოლტირებულად მაშინ როდესაც:

- არ არის სავარაუდო რომ მსესხებელი სრულად დაფარავს თავის საკრედიტო ვალდებულებებს კომპანიის მიმართ, კომპანიის მიერ სესხის უზრუნველყოფის რეალიზაციის გარეშე (ესეთის არსებობის შემთხვევაში); ან
- ფინანსური აქტივი 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებულია.

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი რომელიც წარმოიშობა ყველა შესაძლო დეფოლტის შემთხვევებისგან ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში.

12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ის ნაწილი რომელიც წარმოიშობა ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღიდან 12 თვის განმავლობაში მომხდარი დეფოლტის შემთხვევებისაგან (ან უფრო მოკლე ვადაში თუ ფინანსური ინსტრუმენტის მოხმარების ვადა 12 თვეზე ნაკლებია).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენისას გამოყენებული მაქსიმალური პერიოდი შეესაბამება მაქსიმალურ სახელშეკრულებო პერიოდს რომლის განმავლობაშიც კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის ალბათობაზე დაფუძნებული სავარაუდო საკრედიტო ზარალი. საკრედიტო ზარალი აღირიცხება ყველა ფულადი დანაკლისის მიმდინარე ღირებულებით (ანუ სხვაობა ორგანიზაციიდან ხელშეკრულების მიხედვით მიღებულ ფულად ნაკადებსა და მოსალოდნელ მისაღებ ფულად ნაკადებს შორის).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

კრედიტით გაუფასურებული ფინანსური აქტივები

ყოველი სააღრიცხვო პერიოდის დასაწყისში კომპანია აფასებს არის თუ არა ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები და სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული სასესხო ფასიანი ქაღალდები გაუფასურებული კრედიტით. ფინანსური აქტივი „გაუფასურებულია კრედიტით“ როდესაც ფინანსური აქტივის სამომავლო ფულად ნაკადებზე საზიანო გავლენის მქონე ერთ ან მეტ შემთხვევას ჰქონდა ადგილი.

მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია კრედიტით მოიცავს შემდეგ დაკვირვებად მონაცემებს:

- მსესხებლის ან ემიტენტის არსებითი ფინანსური სირთულებები;
- ხელშეკრულების დარღვევა, მაგალითად დეფოლტი, ან 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება;
- კომპანიის მიერ წინსწრების ან სესხის რესტრუქტურისა იმ პირობებით რომლებსაც კომპანია სხვა შემთხვევაში არ განიხილავდა;
- მოსალოდნელია მსესხებლის გაკოტრება ან სხვა ფინანსური რეორგანიზაცია; ან
- ფინანსური სირთულების გამო ფასიანი ქაღალდების აქტიური ბაზრის გაქრობა.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის წარდგენა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში

ზარალის რეზერვი ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე, აკლდება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას.

სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული სასესხო ფასიანი ქაღალდებისთვის, ზარალის რეზერვი დარიცხულია მოგებაზე ან ზარალზე და აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში.

ჩამოწერა

ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ჩამოწერილია როდესაც კომპანიას აღარ აქვს მისი მთლიანობაში ან ნაწილობრივ ამოღების გონივრული მოლოდინები. ინდივიდუალური კლიენტების შემთხვევაში როდესაც ფინანსური აქტივი 180 დღეზე მეტი ვადაგადაცილებულია კომპანია იყენებს მთლიანი საბალანსო ღირებულების ჩამოწერის პოლიტიკას, მსგავსი აქტივების ამოღების წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით. კორპორატიული კლიენტებისთვის კომპანია დამოუკიდებლად აფასებს ჩამოსაწერ ოდენობას და ვადებს, იმის მიხედვით არის თუ არა გონივრული მოლოდინი იმისა, რომ მოხერხდება თანხის ამოღება. კომპანია აღარ ელის მნიშვნელოვანი ოდენობის ამოღებას ჩამოწერილი თანხიდან. თუმცა, ჩამოწერილი ფინანსური აქტივები შეიძლება კიდევ დაექვემდებაროს აღსრულების მცდელობას კომპანიის მხრიდან ვადაგასული თანხების ამოღების პროცედურების შესაბამისად.

(j) ანარიცხები

ანარიცხები აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ წარსული მოვლენების შედეგად კომპანიას აქვს მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომლის შეფასებაც საიმედოდ არის შესაძლებელი და სავარაუდოა, რომ ამ ვალდებულების დასაკმაყოფილებლად აუცილებელი იქნება კომპანიიდან ეკონომიკური სარგებელის გადინება. ანარიცხები გამოითვლება მომავალი მოსალოდნელი ფულადი ნაკადების გადასახადების გადახდამდე არსებული განაკვეთით დისკონტირებით, რაც ასახავს ფულის ღირებულების დროში მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს. დისკონტირების განაწილება აღიარდება როგორც ფინანსური ხარჯი.

(k) იჯარები

ხელშეკრულების დადებისას, კომპანია განსაზღვრავს არის თუ არა ან მოიცავს თუ არა აღნიშნული ხელშეკრულება იჯარას. ხელშეკრულება არის ან შეიცავს იჯარას თუ ის გადასცემს კონკრეტული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას დროის გარკვეული პერიოდით გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ. იმის შესაფასებლად გადასცემს თუ არა ხელშეკრულება კონკრეტული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას, კომპანია ფასს 16-ის იჯარის განმარტებას იყენებს.

წინამდებარე პოლიტიკა გამოიყენება ხელშეკრულებებზე, რომლებიც დადებულია 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდგომ.

(i) როგორც მოიჯარე

კომპანია აღიარებს აქტივს გამოყენების უფლებით და საიჯარო ვალდებულებას იჯარის დაწყების თარიღისთვის. აქტივი გამოყენების უფლებით თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ ოდენობას კორექტირებულს ნებისმიერი საიჯარო გადახდებით, რომლებიც დაწყების თარიღში ან ამ თარიღამდე განხორციელდა, დამატებული ნებისმიერი თავდაპირველი პირდაპირ გაწეული ხარჯები და აქტივის დაშლის და შესაბამისი აქტივის გატანის ან მისი აღდგენის ან იმ ტერიტორიის აღდგენის ხარჯები სადაც აღნიშნული აქტივი მდებარეობდა, გამოკლებული ნებისმიერი მიღებული საიჯარო სტიმულირება.

შემდგომ ხდება „აქტივი გამოყენების უფლებით“ ცვეთა წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის დაწყებიდან მისი დასრულების თარიღამდე, გარდა შემთხვევებისა როდესაც იჯარა გადასცემს შესაბამისი აქტივის მფლობელობას კომპანიას იჯარის ვადის ბოლოს, ან იმ შემთხვევაში თუ აქტივი გამოყენების უფლებით თვითღირებულება ასახავს კომპანიის მხრიდან შესყიდვის შესაძლებლობის გამოყენებას. ამ შემთხვევაში მოხდება „აქტივი გამოყენების უფლებით“ ცვეთა შესაბამისი აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის მანძილზე, რომელიც ძირითადი საშუალებების მსგავს საფუძველზე განისაზღვრება. ამასთანავე, „აქტივი გამოყენების უფლებით“ პერიოდულად შემცირებულია გაუფასურების ზარალით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და კორექტირდება საიჯარო ვალდებულების კონკრეტული გადაფასებებით.

საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად ფასდება იმ საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით, რომლებიც არ არის გადახდილი დაწყების თარიღისათვის, დისკონტირებულია იჯარაში ჩართული საპროცენტო განაკვეთით ან, თუ აღნიშნული განაკვეთის განსაზღვრა დროულად ვერ ხერხდება, კომპანიის მზარდი სასესხო განაკვეთით. ზოგადად, კომპანია დისკონტირების განაკვეთად მის მზარდ სასესხო განაკვეთს იყენებს.

საიჯარო ვალდებულების შეფასებაში შეტანილი საიჯარო გადახდები მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს, მათ შორის „არსებით“ ფიქსირებულ გადახდებს.

საიჯარო ვალდებულება ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. ის გადაფასებულია თუ კომპანია შეცვლის მის შეფასებას იმისა გამოიყენებს თუ არა ის შესყიდვის, გახანგრძლივების ან შეწყვეტის შესაძლებლობას ან არსებობს თუ არა გადახდილი არსებითი ფიქსირებული საიჯარო გადახდა.

როდესაც საიჯარო ვალდებულება მსგავსი გზით გადაფასდება, ხდება აქტივი გამოყენების უფლებით საბალანსო ღირებულების შესაბამისი კორექტირება, ან აღრიცხულია მოგებაში ან ზარალში თუ აქტივი გამოყენების უფლებით საბალანსო ღირებულება შემცირებულია ნულამდე.

კომპანიამ აირჩია არ აღიაროს „აქტივები გამოყენების უფლებით“ და საიჯარო ვალდებულებები დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებზე და მოკლევადიან იჯარებზე. კომპანია აღნიშნულ იჯარებთან დაკავშირებულ საიჯარო გადახდებს აღიარებს ხარჯის სახით წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის ვადის მანძილზე.

საიჯარო ვადა ასახავს კომპანიის გონივრულ შეფასებას იმ პერიოდისა რომლის განმავლობაშიც შესაბამისი აქტივი იქნება გამოყენებული. საიჯარო ვადის განსაზღვრისას კომპანია აფუძნებს მის მსჯელობას კონტრაქტის და შესაბამისი აქტივის ფართო ეკონომიკაზე და არა მხოლოდ სახელშეკრულებო პირობებზე, რაც იძლევა საშუალებას, რომ ფაქტორები როგორებიცაა ეკონომიკური ჯარიმები, საკანონმდებლო მიდგომა იჯარის განახლებაზე, მოსალოდნელი ცვლილებები რეგულაციაში და კომპანიის სამომავლო ბიზნეს გეგმები ეფექტურად იყოს ასახული საიჯარო ვადის შეფასებაში.

22. ახალი სტანდარტები და ინტერპეტაციები

რიგი ახალი სტანდარტები შევიდა ძალაში 2020 წლის 1 იანვრიდან და ყოველი მომდევნო წლიური საანგარიშგებო პერიოდისთვის, მაგრამ მათ არ იქონიეს არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე, მათ შორის:

- კორექტირებები ფასს სტანდარტების კონცეპტუალური ჩარჩოს მითითებებში.
- ბიზნესის განმარტება (ფასს 3-ის კორექტირებები).
- საპროცენტო განაკვეთის ბენჩმარკის რეფორმა (ფასს 9, ბასს 39 და ფასს 7-ის კორექტირებები).

არსებობს რიგი ახალი სტანდარტები, რომლებიც 2020 წლის 1 იანვრიდან და ყოველი მომდევნო წლიური საანგარიშგებო პერიოდისთვის, შევიდა ძალაში (ადრეული გამოყენებაც ნებადართულია); თუმცა კომპანიას ჯერ არ ჰქონდა აღნიშნული ახალი ან შეცვლილი სტანდარტები მიღებული წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას.

მოსალოდნელია, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი ახალი და კორექტირებული სტანდარტები არ მოახდენენ მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- COVID-19-თან დაკავშირებული საიჯარო კონცესიები (ფასს 16-ის კორექტირება).
- ძირითადი საშუალებები: შემოსავალი გამიზნულ გამოყენებამდე (ბასს 16-ის კორექტირებები).
- კონცეპტუალური ჩარჩოს მითითებები (ფასს 3-ის კორექტირებები);
- ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე ან გრძელვადიანის სახით (ბასს 1-ის კორექტირებები).
- ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებები და ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებების კორექტირებები.
- დამამძიმებელი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება (ბასს 37-ის კორექტირებები)
- საპროცენტო განაკვეთის ბენჩმარკის რეფორმა - ეტაპი 2 (ფასს 9, ბასს 39, ფასს 7, ფასს 4 და ფასს 16-ის კორექტირებები).